# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 299. ხუთშაბათი, 17 მარტი 1905 წ. გაზეთის № 2773.

## პაპის-პაპა

(ესკიზი)

(ვუძღვნი უცნობს)

...—აუჳ!.. მეც არ ვიცი, რამდენხანს ვცოცხლობ. ბევრაი სუსხიანი ზამთარი მინახავს, ბევრას ვაებას, ცეცხლს, ქარიშხალს გადაუვალს ჩემ თავს... ასეთ სუსხიან ზამთარს კი არ შავსწრებივარ, როგორიც ეს უკანასკნელი იყო... აგერაი, ვგრძნობ, ძვალი მითბება, გული მილხვება, ჰჩანს გაზაფხულის მზე ათბობს, მას პირი ჩვენკენ უბრუნია, მწვერვალები ხევებამდის ჯერ ისევ თეთრად შალესილია... თითქოს...

— რაის უბნობ, პაპის-პაპაის მზესა?!..

— ჩემო ქუჟუნავ, რაის უნდა ვუბნობდე?!.. ჰმ... რაიც არის... თითქოს სუსხმა იყუჩა... ისე სასტიკი აღარ არის... მზეც ათბობს, და რაისთვის არ ჰსცრემლავენ სალი კლდენი?!.. რაისთვის თეთრი სუდარა არ იშაშრება?!.

— პაპის-პაპაი, რა დროს ცრემლვაა სალი კლდეების, ან თეთრი სუდარის დაშაშვრაი?!.

— ღმერთო, ღმერთო!.. მცხელა კიდევაც!.. ე ტყავის ძველა მინდა გადავაგდო... მივუშვირო მკერდი მზის სხივებს... გეყურებაა, ჩემო პაწაწავ, აღმოსავლეთიდგან სიო სისინებს?!.. უჰ!.. უჰ!.. გულს ეფონა... თბილი სიოა... თავად მზემ დაჰბერა... აბა მიიხედ-მოიხედე, უთუოდ აცრემლდენ კლდენი... თითქოს ყურს მეწვეთება ცრემლთა წკაპუნი!..

— აქა-იქ, პაპის-პაპაი!..

— მართალს მაუწყებ, ჩემო ყველავ, მართალს?!.

— ოოი, პაპის-პაპაივ, მართალს!.. მაგრე მძლავრად ნუ მიმტვრევ მკლავს?!. პაპის-პაპაი, რაი გემართების?!.. სტირი?!.. იყუჩე, ბედშავო, იყუჩე!..

— ჩემო ქუჟუნავ, ჩემო ყველავ!.. რაისთვის არ ვიტირო, რაისთვის არ ვაფრქვიო ცრემლი, როდესაც ჩემ უნებურად გული გალხვა და თავად ..ვრების?!.. გეყურებაა, ეხლა მკაფიოდ მოისმის კლდეთა ცრემლვა... ჩემი სიხარულის ცრემლი მათ ცრემლს შეუერთდება და ნაკადულად იქცევა... ქვევით, ხევებშიდ, ჩრდილებშიდ გაყინულ სუდარას დაჰღარავს და დედამიწას პირს უჩენს... მაშ რაისთვის შევიგუბო ცრემლი?!.

— უუ... პაპის-პაპაი!.. წავიდედ სახლშიდ...

— ნუ გეშინიან, შვილო, ნუ... ნუ!.. ზურგი სალ კლდეზე გვაქვს მიყრდობილი!.. რაი იყო?!. რამ შეგაშინა?!.



თავ. ი. მ. ჯამბაკურ-ორბელიანი,

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი.

— პაპის პაპაი!...

— აგერ... აგერ... მაგრამ ხომ ვერას ჰხედავ... აგორდა პაპის პაპაივ, აგორდა ზვავი...

— ჰაა!.. ახ... მართლა აგორებულა!.. მეყურება... აი... აი!.. შუის... უფსკრულისკენ მიქანავს... მიქანავს... თავს ველარ იჭერს... უჰ... უჰ!.. ქარმა დაჰქროლა... ჰოო?... ნუ გეშინიან, ჩემო ქუჟუნავ, ჩქარა ჩაეხეთქება უფსკრულს და...

— პაპის-პაპაი, დიდდება... დიდდება...

— გაიზარდოს... გაიზარდოს, ჩემო ნორჩო თვალებო, გაიზარდოს... რაც დიდი იქმნების, მით უფრო ძლიერად ჩაასკდება უფსკრულს და შეიმუსრება...

— ჩვენკენ გადმოიხარა, პაპის-პაპაი!..

— სუუ.. სუუ... ჩემო ნორჩო, ჩვენ სალი კლდე გვიფარავს... დიდი ხანია ამ კლდეს ამოვფარებივარ... არ ულალატნია ჩემთვის... არც ეხლა მიღალატებს... მომეკარ... მომეკარ!.. ნუ გეშინიან!.. ჰოო, ეგრე!..

პაპის-პაპაი შენც ჰკანკალებ...

— სიხარულისგან, შვილო!.. ააახ!.. ჩაეხეთქა!..

— რაი იყო, პაპის-პაპავ, რაი?!. რაისთვის წამოჰვარდი?!. ვაი მე, ბედ-შავს, პაპის-პაპაი ყურსაც აღარ მიგდებს!.. აგრე რაის დაშტერებიხარ?!.

— ჩაეხეთქა... მიყუჩდა... ჩქარა პირველს მეორე მოჰყვება... მეორეს-მესამე... მესამეს-მეოთხე და... ღმერთო... ღმერთო!..

— პაპის-პაპაი!..

—ღმერთო... ჩქარა სულ განთავისუფლდება სალი კლდე.. აბიბინდება მისი მიდამო... ნაკადული აჩხრიალდება... ჯიხვთა ფარა ახმაურდება... კლდიდან კლდეზე ხტომას დაიწყებს... ახმაურდება მდელო...

—პაპის-პაპაი, კიდევ აგორდა!.. მოედ აქით... მეშინიან...

— კიდევ აგორდა!.. აგორდეს... აგორდეს... ჩქარა მოიწმინდება სრულებით... ზეცავ!..

— რაის დაიჩოქე და ხელები ზეცისკენ გაგიპყრია?! პაპის-პაპაი...

— მეყურება გაზაფხულის ხმა... ჰაერი იჟღინთება სუნით... დიდებულ ხმებით... მეგონა, დაუსრულებელი იქმნებოდა ეს ზამთარი... მაგრამ...

—პაპის-პაპაი!..

— „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით“*)... რამე თუ ესმა ყურთა ჩემთა ხმა... ხმა ნეტარი!..

**შ. არაგვისპირელი.**

*) სახ. ლუკ. თ. II მუხ. 29.

# გურიის ცხოვრებიდან



გურია.—შეძლებულ გლეხის სახლ-კარი.

## შეჩვენებული

### ფანტაზია

რას ჩამაცივდი! რას მიბღვერი, რა გინდა ჩემგან? ნუ თუ ვერ გაძეხ, შე წყეულო, ჩემის სისხლითა! განა არ გეყო, რაც დღემდისა ჩემის წვალებით გაიხარე, გასისინდი, გაძეხ, ვით ღორი, და ღორივით მსუნაგი ხარ... ეხლაც მოელი, რომ კიდევ ჩემით კმაყოფილმა იცხოვრო ქვეყნად?!

არ გეყო ისიც, რაც დღემდის მოსვენებით ნავარდობდი ამ ჩემ კისერზე და... ჩემის ოფლით მონაგები, ნამუშავარი ემატებოდა შენ უხვ სიმდიდრეს! განისვენებდი, ვით ბოლდიხანი და მედიდურად, ამაყად, დოინჯ შემოყრით, ბრძანების კილოთი მეძახდი! მეც მოვდიოდი... შენ სურვილებს მსწრაფლ ვასრულებდი და შენ... შენ მაინც მიბღვეროდი, ვითა ნადირი შიმშილისგან ტყეში მყვირალე!

გულ-დამშვიდებით შესცქეროდი ჩემ წვალებასა და ჩემი დედ-მამა, და-ძმების სიმწარისა ცრემლი, არ ალბობდა შენ გაუმაძღარ, უგრძნობო გულსა! შენ არ იყავი, რომ ფეხ-ქვეშ მოურიდებლად გალახე ჩემი პატიოსნება და სინიდისი და თან დამიხშე ადამიანური--მისწრაფებანი და მით შენებთან თავი მოგქონდა, რომ ხარ უმართლო უფლებებით შენ აღჭურვილი და ამნაირად ამაყობდი შენი მრჩენელით!!..

შეჩვენებულო! ველარ ხედავ, რომ უკვე დაგიდგა ჟამი სიმწრისა და შენ ფუფუნებას, შენ განცხრომას ელება ბოლო?!.. ვერ ჰხედავ, რომ გარიყულხარ ცხოვრებიდან და უფსკრულისა კიდეზე მდგომი სულს ლაფავ, ვითა თევზი გამოგდებული ქვიშაზე! ეძახი, ჰყვირი, ბრაზი მოგდის, დაგადგა ტანჯვა... და მას ხომ ჰხედავ რომ შენ ტანჯვას, მაშვრალი ხალხი, ეგებება, შესცქერის, ვით დღესასწაულს და იქვე ახლოს გამვლელი მგზავრი, როს შემოგხედავს, თითქოს პირველად შეგიბრალებს, მაგრამ როდესაც უფრო ღრმად ჩაუკვირდება შენ განვლილ წარსულს, რისაც ნიშანი გამჩნევია შუბლის კანზე, გახასიათებს—ზიზღით გაფურთხებს და ზიზღითა თან გვერდსა გივლის!

ოჰო, განა გაგიჭირდა?! შველას თხოულობ! ვისგან? ვინ არის შენი მშველელი და ან დამხმარე?! იქნებ ფიქრობ, გიშველის ის, ვისაც შენგნით ჩემებრ მწარე ხვედრი რგებია, ვისიც სახლ-კარი, კერა-მიდამო დახავსებულა, დაყრუებულა და შიგ ბუდობენ ბაყაყ-გველი და სხვა ქვემძრომნი?!.. ხომ თვალწინ გიდგას შენის უპატიოსნო ხელით ნამოქმედარი? ან ფიქრობ, მოვლენ—ის ქალწულნი, რომელნიც, შენგნით ნამუს-ახდილნი, ცხოვრებისა ჯურღმულში მყოფნი და შენგნითა შეურაცყოფილნი—მოვლენ და შენ... განუგეშებენ, ტკბილ სიტყვებითა გაგიქრობენ მწარ ტკივილებსა და შენ ჭრილობებს დაადებენ საშველ მალამოს!? არა, წყეულო! წყეული ხარ, შეჩვენებული... პატიოსან მშრომელ წრიდან გამორიცხული! შენ მას ვერ ეძმი... არც იგი გეძმის... შველას ნუ ელი, რაც სიმწარე, ტანჯვა-წვალება სხვას მიაყენე, ცხოვრებამ თვით შენ ჩაგაგდო დღეს ამ ყოფაში... და ის ცხოვრება ის ქვეყანა და ის მაშვრალნიც, რომლებზედაც შენ ბატონობდი, დღეს თვით ისინი შენზედ არიან ბრაზ-მორეულნი და... ნელ-ნელა, შენებრ დამშვიდებით, წყნარად სწუწნიან შენ სისხლსა, რომ ხან-გრძლივი ტანჯვა-წვალებით მოგისპონ შენი უფერული, უსარგებლო, მუქთი არსებობა!..

— ჰა, გენატრება განა სიკვდილი?.. მაშ რად არ ფიქრობდი, რომ შენგნით გამწარებულთა, შენებრ მათაც ენატრებოდა ჩქარი სიკვდილი?!

რაო, რას ამბობ? შველასა მთხოვ, წამოგაყენო, ლუკმა პური მოგაწოდო? ეხლა ხომ იგრძენ, რა ყოფილა გაჭირვება! ხომ თვალ-წინ გიდგას გემრიელი, სხვის ოფლისაგან დამზადებული ის ტკბილი ლუკმა?! ჰაა, კბილებსაც-კი აკრაჭუნებ!.. ჯავრით გული ხომ არ გისკდება?!. დეე, გატკბობდეს დღევანდელი შენი ცხოვრება გასწი, გამშორდი!

**დ. ელპიტიშვილი.**



გურია.—ამხანაგობის „შუამავლის“ საბრეშუმო სადგური სოფ. დვაბზუში.



გურია.—აბრეშუმის ჭარკის სახმობი ფარდული.

# მ ო ს ე ს ს უ რ ა თ ი

ლეგენდა ტალმუდიდან

**დორო შევიჩისა**

როცა მოსე წინასწარმეტყველმა გამოიყვანა ებრაელები ეგვიპტიდან, მისი სახელი მთელს ქვეყნიერებას მოეფინა.

ყველას უკვირდა მისი მოქმედება და ამბობდნენ: უსათუოდ წმინდა კაცია და ღმერთი ეწევა, რომ ასეთს სასწაულებს სჩადისო!

ხმა მივიდა ასირიის მეფემდისაც. მეფემ დიდის ყურადღებით მოისმინა მოსეს ამბავი, მოიხმო საუკეთესო მხატვარი და უთხრა:

— მსურს ვნახო ღვთის კაცის სურათი, აიღე სპილოს ძვლის ფიცარი, საუკეთესო სამღებროები, წადი უდაბნოში სადაც მოსე იმყოფება, გადიღე მისი სურათი და მომიტანე. მაგრამ გახსოვდეს კი, რომ ყველაფერი ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს ჩვენში, გესწი!

მხატვარმა აიღო სპილოს ძვლის ფიცარი, საუკეთესო სამღებროები და გზას გაუდგა. მივიდა უდაბნოში, მოსძებნა მოსე, გადაიღო მისი სურათი და მიართვა მეფეს. მეფე დიდხანს ჩაფიქრებული დასცქეროდა სურათს, შემდეგ დაასვენა სასახლეში და შეჰკრიბა გამოჩენილნი ბრძენნი.

ბრძენნი ძალიან დახელოვნებულნი იყვნენ ყოველგვარს საქმეში და ამიტომ მეფე ხშირად ეკითხებოდა ხოლმე რჩევა-დარიგებას

მეფემ უჩვენა მოსეს სურათი და უთხრა:

— დიდებულნო ბრძენნო და გულთმისანნო, კარგად დააკვირდით ამ სურათს და მითხარით, რა ხასიათისა უნდა იყვეს ეს კაცი.

ბრძენნი უკვირდებოდნენ სურათს, ყოყმანობდნენ და უფროს ბრძენისკენ იცქირებოდნენ, არავის უნდოდა პირველს გამოეთქვა თავისი აზრი, ეშინოდა შეცდომისა და შერცხვენისა.

უფროსმა, მხცოვანმა ბრძენმა დიდხანს უცქირა სურათს, თავი აქეთ-იქით გააქნია და ბოლოს წარმოსთქვა:

— ეგ ბოროტი კაცია.

მაშინ დანარჩენთაც ხმა ამოიღეს და ავად ხსენება დაუწყეს სურათზედ დახატულს.

— ეგ ძალზედ ამაყი კაცია! —სთქვა ერთმა.

— ეგ ავია და ბრაზიანი,—დაუმატა მეორემ.

— ეგ პატივისა და ანგარების მოყვარეა!

— უზნეო ადამიანია!



**კახელი გლეხი.**—შენი ჭირიმე, ე რა კაი ამბები ყოფილა გაზეთში?

ერთის სიტყვით ბრძენნი ჰპოვებდნენ მასში ყოველგვარს საზრახისს თვისებას.

ყველამ ერთხმად დასძინა:

— ეგ ავზნე კაცია, ეგეთი ადამიანი ღვთისთვის სასურველი არაა!

— კმარა!—შესძახა განრისხებულმა მეფემ,—მასხარად მიგდებთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე? ეს სურათი მოსე წინასწარმეტყველისაა, რომელსაც მთელი ქვეყანა განცვიფრებაში მოჰყავს და მრავალ სასწაულს ახდენს. თქვენ კი ამბობთ, ასეთი კაცი სასურველი არ არის ღვთისათვისაო! მთელი ქვეყანა განცვიფრებულია მისის მოქმედებით, თქვენ კი ნაკლულევანების მეტს ვერა ღირსებას ვერა ჰპოვებთ; ეხლა კი ვხედავ თქვენის სიბრძნის ძლიერებას!

მეფე საშინლად შესწუხდა და ნიშნად მწუხარებისა ტანისამოსი მთლად შემოიხია.

— ვაიმე! ვაი, რომ თქვენის რჩევით ხელვმძღვანელობდი აქნობამდის!

— ბრძენნი შეშინდნენ, პირქვე დაეცნენ და უფროსმა მათგანმა წარმოსთქვა:

— მეცნიერება ჩვენი ჭეშმარიტია და უტყუარი და ყველა ის, რასაც ჩვენ ვამბობთ, სრული ჭეშმარიტებაა. დამნაშავეა მხატვარი! იმას სისრულით ვერ გადუღია სახის გამომეტყველება დიდებულის კაცისა და მით შეცდომაში შეგვიყვანა. უბრძანეთ, თავი მოჰკვეთონ!

გაიმართა ცხარე კამათი. მხატვარი ამბობდა:

— მე შეუცდომლად დავხატე, ბრძენნი სცდებიან.

ბრძენნი ამბობდნენ:

— მხატვარს ცუდად გადაუღია სურათი!

მეფეს სურდა გაეგო, თუ ვის მხარეს იყო სიმართლე. ჩაჯდა ეტლში, წაიღო თან სურათი და უდაბნოსაკენ გაემგზავრა. მიუახლოვდა მეფე ებრაელთა ბანაკს და შორიდანვე გაარჩია მოსე, რომელიც უნაკლულოდ გადაეღო მხატვარს...

— ვინ არის აის კაცი?—იკითხა მეფემ.

— კაცი ღვთისა, მოსე წინასწარმეტყველი!—უპასუხეს.

მეფემ აიღო სურათი, შეხედა მოსეს და განცვიფრდა, რომ ასეთის სინამდვილით დაეხატა მხატვარს.

მაშინ სახტად დარჩენილმა მეფემ სურვილი განაცხადა მოსესთან საუბრისა, შევიდა მასთან ქოხში, სალამი მისცა, უამბო მხატვრისა და ბრძენთა კამათი და უთხრა:

— შემინდევ, კაცო ღვთისაო! სანამდის მე თითონ არ გიხილევი, მეგონა დამნაშავე მხატვარი არის მეთქი, სურათი კარგად ვერ გადაუღია. ჩემი ბრძენნი სანაქებონი არიან, მათი ბადალი ქვეყნიერებაზედ არ მოიპოვება და ამიტომ ბრალს მათ ვერა ვდებდი, მაგრამ ეხლა, რომ თქვენა გხედავთ, ნათლად ვრწმუნდები, რომ მხატვარს სისრულით გადუღია თქვენი სურათი, ცხადია მეცნიერნი სტყუოდნენ.

მოსემ პასუხად ჩაიცინა და უთხრა:

— არასოდეს! მხატვარნიცა და ბრძენიც ორნივ მართალნი არიან. მოგახსენებთ: მე რომ ბუნება და სახის გამომეტყველება ისეთი მქონდეს, როგორც შეჰფერის ჩემს ქცევა-მოქმედებას, მაშინ მე უსულო საგანს-ხეს დავემგზავსებოდი, რომელსაც არაფერი კაცობრიული ზნე-თვისება არა აქვს. მაშინ მე არაფერი სამსახური აღარ მიმიძღვებოდა არც ღვთისა და არც კაცობრიობის წინაშე. დიახ, დიდებულო მეფევ, გამოტეხით უნდა გითხრათ, რომ ყველაფერი ის ნაკლი, რაც თქვენმა მეცნიერება ჰპოვეს ჩემში, ბუნებით თან დაყოლილი მაქვს. იქნებ ეს ნაკლულევანებანი მეტიც იყოს, ვიდრე თქვენმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს. მაგრამ მე ვსძლიე, დავსთრგუნე ეს ბუნებისაგან დაყოლილი ცუდი მიდრეკილებანი. როგორც მიწა პატარა მარცვლისაგან აღმოაცენს უშველებელს მცენარეს, ისე მეც ჩემში აღმოვაცენე სიკეთე. მე მივაჩვიე ჩემი თავი სიკეთეს, ვიდრე ეს სიკეთე მეორე ჩემს ბუნებად არ გარდავქმენ. აი სწორედ ამისათვისა ვარ საყვარელი ღვთისა და ხალხისა.

ამ სიტყვებთან ერთად წყნარის ღიმილით გაისტუმრა მოსემ არაბეთის მეფე.

**ზ. ედილი.**



შუშები, შუშები ჩასასმელი!

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი**

Доз. ценз. Тифлисъ, 16 марта 1905 г. Электропеч. изд. т—ва. груз. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—სა.